

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ს თარიღისთვის

	შენიშვნა	2022	2021	2020
		ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	1,922,561	1,155,166	12,216,161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		165,782	2,701,968	131,843
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,088,342	3,857,133	12,348,004
სულ აქტივები		2,088,342	3,857,133	12,348,004
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		10,200	26,981	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4	79,630	106,483	9,712,906
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		89,830	133,464	9,712,906
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5	270,200	1,373,786	961,682
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		270,200	1,373,786	961,682
სულ ვალდებულებები		360,030	1,507,250	10,674,588
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,728,312	2,349,884	1,673,416
სულ საკუთარი კაპიტალი		1,728,312	2,349,884	1,673,416
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,088,342	3,857,133	12,348,004

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“
დირექტორი: სანდრო მაღლაკელიძე



შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“

მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2022-31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	6	-	9,799,349
ამონაგების თვითღირებულება		-	(8,362,615)
საერთო მოგება		-	1,436,734
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(508,359)	(560,747)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	8	154,655	21,915
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	9	(267,868)	(221,434)
მოგება დაბეგვრამდე		(621,572)	676,468
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(621,572)	676,468

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“
დირექტორი: სანდრო მაღლაკელიძე



შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022-31.12.2022 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 01.01.2021	-	1,673,416	1,673,416
პერიოდის მოგება		676,468	676,468
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
ნაშთი - 31.12.2021	-	2,349,884	2,349,884
პერიოდის მოგება		(621,572)	(621,572)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
ნაშთი - 31.12.2022	-	1,728,312	1,728,312

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“
დირექტორი: სანდრო მაღლაკელიძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 31/08/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვასილ ბარნოვის ქ., N90ა, ფართი N1, სართული 1 კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს წვევის აგრეგატის/ლოკომოტივის დამზადება/მოდერნიზება და ექსპორტზე გატანას.

დირექტორი: სანდრო მაღლაკელიძე (პ/ნ 01008028516)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7020	3.0976	3.2766

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ

კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე/მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც აღიარდება შესაბამისი რეალიზაცია. მარაგების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება პერიოდული აღრიცხვის მეთოდი.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით და აისახება მოგება-ზარალში.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის

აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	-	65,081	2,326,386
გადახდილი ავანსები	1,196	1,196	7,517,536
გაცემული სესხები	1,795,579	1,088,889	-
საბანკო დეპოზიტები	-	-	2,128,479
საგადასახადო აქტივები	125,786	-	243,761
სულ	1,922,561	1,155,166	12,216,161

4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	1705.1	2,222	951,220
თანამშრომლის მიმართ ვალდებულებები	43300	43,300	43,300
გადასახდელი პროცენტები	34400.51	60,405	15,456
მიღებული ავანსები		-	7,554,116
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	224.77	556	1,148,813
სულ	79,630	106,483	9,712,906

5. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
არარეზიდენტებისგან მიღებული სესხები	-	1,064,026	961,682
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	270,200	309,760	-
სულ	270,200	1,373,786	961,682

6. ამონაგები

	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი საქონლის ექსპორტიდან	-	9,799,349
სულ	-	9,799,349

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 ლარი	2021 ლარი
შრომის ანაზღაურება	(463,563)	(493,037)
მივლინების ხარჯი	(8,364)	(11,310)
საპენსიო ხარჯი	(9,271)	(9,866)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-	(33,121)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(12,400)	(7,900)
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	(1,626)
საბანკო ხარჯი	(3,720)	(3,261)
საგადასახადო ხარჯი	(2,040)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(9,001)	(626)
სულ	(508,359)	(560,747)

8. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2022 ლარი	2021 ლარი
გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	164,809	68,684
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	(10,154)	(46,769)
სულ	154,655	21,915

9. არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)

	2022 ლარი	2021 ლარი
სავალუტე გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)	(267,868)	(221,434)
სულ	(267,868)	(221,434)

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2023 წლის 5 სექტემბერს.

შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“
დირექტორი: სანდრო მაღლაკელიძე

